პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 25 (5055)

1974 წ. 5 თებერვალი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. სურათზე აღბეჭდილი არიან ყინულზე ცეკვაში გამარჯვებულები და პრიზიორები: ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი (ცენტრში), ინგლისელები ჰ. გრიკი და გ. უოთსი (მარცხნივ), ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი.

საკდესის ტელეფოტო.

ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР-1974

## ესტაფეტა მოთხილამურეებს მიაქვთ

ბაკურიანი, 3 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა საქართველოს ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. შეჯამდა ხუთდღიანი ასპარეზობის შედეგები. გუშინ და დღეს ათი გამარჯვებული გამოვლინდა. გადაწყდა გუნდური პირველობის ბედიც. ისევე, როგორც შარშანდელ ჩემპიონატში, საერთო პირველობა ამჯერადაც ბორჯომის რაიონის ნაკრებმა დაისაკუთრა.

მაგრამ პირველი ჯგუფის კოლექტივებს სპარტაკიადის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ამით არ დაუმთავრებიათ. საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს ტურნირები ფიგურულ ციგურაობასა და საციგაო სპორტში. ფიგურულ ციგურაობაში ასპარეზობა თბილისში მალე დამთავრდება, ხოლო მოციგავეები პირველობას ბაკურიანის ტრასის მშენებლობის დამთავრების შემდეგ გაითამაშებენ და გარდამავალი პრიზის მფლობელი კოლექტივის ვინაობაც გაირკვევა.

ბაკურიანში გუშინ ესტაფეტები ჩატარდა. პირველი ჯგუფის ვაჟთა კოლექტივების შეჯიბრების პროგრამაში იყო 4×10 კმ-ზე რბოლა, მეორე ჯგუფის გუნდები კი 3×10 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სამაგიეროდ, ქალთა ესტაფეტაში ორივე ჯგუფის სპორტსმენები თანაბარ პირობებში იყვნენ. გამოცდა ყველას 3×5 კმ-ზე რბენაში უნდა ჩაებარებინა. პირველი ჯგუფის კოლექტივებს ქულებს აძლევდნენ იუნიორებიც, რომლებისთვისაც შერეული ესტაფეტა მოეწყო. ქების ღირსი არიან ქუთაისისა და ბოგდანოვკის გუნდები. ისინი პირველი ჯგუფის ვაჟთა კოლექტივების შეჯიბრებაშიც რომ გამოსულიყვნენ, უთუოდ საპრიზო ადგილებს დაისაკუთრებდნენ. ქალებზე ამას ვერ ვიტყვით — პირველი და მეორე ჯგუფების გუნდებს შორის სხვაობა აშკარა იყო. თბილისისა და ბორჯომის იუნიორები შერეულ ესტაფეტაში იმდენად ცუდად იყვნენ მომზადებული, რომ რბოლა ვერც კი დაამთავრეს. მესტიელებმა კი, პირიქით, თავი მოგვაწონეს. ლ. უდესიანმა, გ. გულბანმა, ლ. გულედანმა და თ. რატიანმა ოთხივე ეტაპზე კარგად იასპარეზეს და პირველობა დაისაკუთრეს.

ესტაფეტებში შეჯიბრებამ ცხადყო, რომ არც ერთი გუნდი თანაბარი სიძლიერის სპორტსმენებით არ იყო დაკომპლექტებული. თანაგუნდელთა შედეგებს შორისაც კი ეტაპებზე სხვაობა 7-8 წუთს აღწევდა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს ჩამორჩენას სათხილამურო რბოლაში.

დღეს 30 კმ-ზე რბენაში მოასპარეზეთაგან ქებას მხოლოდ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი ო. დიაკონაშვილი იმსახურებს. მან ბევრ უფრო გამოცდილ სპორტსმენს აჯობა და საქართველოს ჩემპიონობა პირველად დაისაკუთრა.

ძალები ამ სახეობაშიც უთანაბრო იყო. საქართველოს ახალმა ჩემპიონმა ბოლო ადგილზე გასულ მ. უხანოვს (აჭარა) 46 წუთით აჯობა. ამ დისტანციაზე მოასპარეზე 31 სპორტსმენიდან ხუთი სტარტზე არ გამოცხადდა, სამმა რბოლა მიატოვა, დანარჩენებიდან კი ორ საათზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ექვსმა მოიპოვა.

ბოლო დღის პროგრამიდან ერთადერთი სწრაფდაშვება იყო, სადაც მონაწილეებმა დამაკმაყოფილებელ შედეგებს მიაღწიეს. ჩემპიონობისთვის დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. თბილისელმა სპორტის ოსტატმა ა. სტეფანიანმა ბორჯომელ სპორტის ოსტატ გ. ჯიშოევს 1400-მეტრიან ტრასაზე ორჯერ დაშვების ჯამში 0,02 წამი მოუგო და გამარჯვების საკითხიც ამან გადაწყვიტა. სტეფანიანმა პირველ ცდაზე 1.15,03 აჩვენა, ჯიშოევმა — 1.15,28. მეორე ცდა ჯიშოევმა მოიგო — 1.16,23, სტეფანიანმა კი 1.16,40 აჩვენა.

ო. გელაშვილი.

• • •

### ტექნიკური შედეგები:

**ქალები.** 10 კმ რბენა. ნ. ბალაშვილი (თბილისი, „სპარტაკი")— 38,07, ქ. კებბა (თბილისი, „განთიადი") — 38,50, ლ. ჯაფარიძე (მესტია, „კოლმეურნე")—43,58; ესტაფეტა 3×5 კმ. ბორჯომი (ლ. მაკიევა, ს. ხუბაევა, ტ. ტერეხოვა) — 1:18:29, თბილისი—1:21,0, მესტია — 1:21,53.

**სწრაფდაშვება** (ტრასის სიგრძე 1500 მ, სიმაღლეთა სხვაობა 350 მ, 15 კარი). **ქალები.** ს. ნასყიდაშვილი (ბორჯომი, „კოლმეურნე") — 1.26,88, თ. კოზანაშვილი (თბილისი, „დინამო") — 1.29,71, მ. ცარიტოვა (ბორჯომი, „კოლმეურნე") — 1.57,47; **გოგონები.** ტ. ლანდოიანი (ბორჯომი, „დინამო") — 2.08,20; **ვაჟები.** 30 კმ. რბენა. ო. დიაკონაშვილი (თბილისი, „სპარტაკი") — 1:44,26, ლ. სოლოიანი (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 1:46,02, ა. ნავერიანი (მესტია, „კოლმეურნე") — 1:46,26.

**ესტაფეტა 4×10 კმ.** თბილისი (ყ. ლალიევი, რ. მაკიევი, ო. დიაკონაშვილი, ლ. სოლოიანი) — 2:30.07, მესტია — 2:33,45, ბორჯომი — 2:34.44; 3×10 კმ. ქუთაისი (ა. ჩოგაძე, ი. ლობარევი, ი. მაიოროვი) — 1:48.32, ბოგდანოვკა — 1:51,0, აჭარა — 2:02,16.

**სწრაფდაშვება** (ტრასის სიგრძე 1400 მ, სიმაღლეთა სხვაობა 350 მ, 15 კარი, ორი დაშვების ჯამი), **ვაჟები.** ა. სტეფანიანი (თბილისი, „სპარტაკი") — 2.31,59, გ. ჯიშოევი (ბორჯომი, „დინამო") — 2.31,61, ლ. თვაური (თბილისი, „კოლმეურნე") — 2.32,52; **იუნიორები.** ნ. ურუშაძე — 2.33,90, გ. ლომინაძე (ორივე — თბილისი, „დინამო") — 2.36,42, ლ. ბანდური (თბილისი, ასკ) — 2.37,29.

**90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.** ქ. წაქაძე (ბორჯომი) — 228,5 (ნახტომები — 103,5, 103 მ), გ. გავა (ბორჯომი, „დინამო") — 161,6 (ნახტომები — 90 და 86,5), მ. ბაკაევი — (ბორჯომი, „დინამო") — 140,1 (ორივეჯერ — 79,5).

**გუნდური.** საბოლოო შედეგები. I ჯგუფი ბორჯომი — 303 ქულა, თბილისი — 277, მესტია — 144; II ჯგუფი. ქუთაისი — 104 ქულა, ბოგდანოვკა — 62, რუსთავი — 42.

სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდები. „კოლმეურნე" — 311 ქულა, „სპარტაკი" — 296,5, „დინამო" — 206.

## 74

● **სალავათი,** 2 თებერვალი. გუშინ აქ დამთავრდა ჩოგბურთელთა საკავშირო გუნდური პირველობა. ეს უკვე მეცამეტედ გაიმარჯვა მოსკოვის კოლექტივმა, რომელმაც ფინალური მატჩი მოუგო ტალინის გუნდს — 6:0. მესამე ადგილი დაიკავეს უკრაინელებმა, მეოთხე — ლენინგრადელებმა. საქართველოს ნაკრები მეშვიდე იყო.

● **იმსტი,** 3 თებერვალი. ავსტრიის ამ ქალაქის ყინულის ტრასაზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატი საციგაო სპორტში. ერთადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში პირველი დღის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო გდრ-ის წარმომადგენელმა, მსოფლიო ჩემპიონმა ჰ. რინმა, რომელმაც მეორე დღესაც წარმატებით იასპარეზა და კვლავ ევროპის ჩემპიონი გახდა. ქალებში ასევე კარგად გამოვიდა მ. შუმანი (გდრ), რომელმაც კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა.

● **ზაგრები,** 3 თებერვალი. ფიგურულ ციგურაობაში კონტინენტის ჩემპიონის სახელი უკვე მეორედ მოიხვეჭა 17 წლის კ. ერატმა (გდრ). საბჭოთა სპორტსმენმა მ. სანაიამ XXI ადგილი დაიკავა.

● **მოსკოვი,** 3 თებერვალი. აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „დინამოს" და „ჰანოვერის" (გფრ) ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0. საპასუხო შეხვედრა ჩატარდება 23 თებერვალს ჰანოვერში.

19⁴⁵

## მხოლოდ ფიცხელაური...

**პარიზი,** 4 თებერვალი. აქ გაიმართა მსოფლიოს უძლიერეს ძიუდოისტთა ტურნირი, რომელშიც 10 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. დიდი წარმატება მოიპოვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორმა, თბილისელმა შ. ფიცხელაურმა, რომელიც მსუბუქი წონის ძალოსანთა ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა ქ.-ჰ. ვერნერი (გდრ).

დანარჩენ წონით კატეგორიებში საბჭოთა მოჭიდავეები ფინალში ვერ გავიდნენ.

## პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

მეხუთიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა გაზეთი „ლელო" დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

## ლიდერობს ორი მაია

### ზვორიკინა — ჩიბურდანიძე 0:2
### რანიკუ — სემიონოვა 2:0

**მოსკოვი,** 4 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში განახლდა ქალთა საკავშირო თასის გათამაშება. ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ კ. ზვორიკინა (მინსკი) — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) და მ. რანიკუ (ტალინი) — ლ. სემიონოვა (კიევი).

თითოეულ მატჩში ოთხი პარტია გათამაშდება. პარტიები შედგება ყოველდღე 17 საათიდან. გადადებული პარტიების დასამთავრებლად მეტოქენი ერთმანეთს მეორე დღეს, დილით შეხვდებიან. პირველი 45 სვლისთვის გამოყოფილია ორ საათ-ნახევარი, ხოლო ყოველი მომდევნო 18 სვლისთვის — თითო საათი.

შაბათს მოეწყო პირველი შეხვედრები. ზვორიკინამ აქტიურად გაითამაშა სიცილიური დაცვა და ინიციატივასაც დაეუფლა. მაია თითქმის პირველად თამაშობდა სიცილიურ დაცვას, მაგრამ ძლიერი მეტოქის კომბინაციურ იერიშებს არ შეუშინდა. ზვორიკინამ ჯერ პაიკი შესწირა, მერე — ზედიზედ ორი ფიგურა, მაგრამ ჩიბურდანიძის უზუსტო მე-10 და მე-13 სვლები ვერ გამოიყენა. უფრო მეტიც, მე-18 სვლაზე მან იერიშის მცდარი გზა აირჩია. თბილისელმა მოსწავლემ უპირატესობა შეინარჩუნა და, როცა ზვორიკინა ცაიტნოტში მოხვდა, მყისვე ისარგებლა შამათის გამოცხადების მოულოდნელი შესაძლებლობით.

(დასასრული მე-4 გვ.).

◆ **მოსკოვი,** 4 თებერვალი. დედაქალაქის ძმები ზნამენსკების მანეჟში გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება. ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. ს. ბუდალოვმა (მოსკოვის ოლქი) სიმაღლეზე ხტომაში გადალახა 221 სმ. ეს შედეგი მეორეა წლეულს სსრ კავშირში. კრასნოდარელმა ნ. კარნაუხოვამ 60 მეტრი 7,2 წამში გაირბინა და გაიმეორა სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში. ვაჟებში ამ დისტანციაზე ტოლი არ ჰყავდა ბაქოელ ვ. ოტსტავნოვს — 6.4.

◆ **ნოვოსიბირსკი,** 4 თებერვალი. სპიდვეისტთა საკავშირო ჩემპიონატში 500 ანების კლასში ოქროს მედალი მოიხვეჭა 24 წლის საბჭოთა არმიის პრაპორშჩიკმა ს. ტარაბანკომ, რომელმაც 27 ქულა დააგროვა (30-დან).

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ჩვენი მოკლე კორესპონდენციები

### მსოფლიო ჩემპიონები „ნავთობის რეკორდსმენებთან“

ამას წინათ სახელგანთქმულ საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფი ესტუმრა ტიუმენელ მენავთობეებს, სამოტლორის ტბის ამთვისებლებს. მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს — ლ. სკობლიკოვას, ბ. ლაგუტინს, ვ. ლისიცკის, ს. პეტუხოვს. მენავთობეებმა სტუმრებს უამბეს შრომასა და სპორტში მოპოვებულ წარმატებებზე, უთხრეს, რომ ფიზიკური მომზადება და წრთობა ყველაზე მეტად ეხმარებათ მუშაობაში. ხუთწლედის მეოთხე წელიწადს სამოტლორი მოგვცემს 81 მილიონ მაღალხარისხოვან ნავთობს, — შარშანდელზე 22 მილიონი ტონით მეტს.

სტუმრებმა დაათვალიერეს სპორტული ბაზების მშენებლობები ახალგაზრდა ქალაქ ნიჟნევარტოვსკში, რომელიც სამოტლორის ტბის ნაპირებზეა გაშლილი. ცნობილი ოსტატები, რომლებიც ტუმენის ოლქში საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბრიგადასთან ერთად ჩავიდნენ, შეხვდნენ იქაურ მბურღავებს, ტაიგის მაგისტრალების მშენებლებს, გეოლოგებს, სტუდენტებს, მსხვილ საწარმოთა მუშებს.

პ. რიაბოვი.

ტიუმენი.

### მებრძოლის, პარტიზანის, მასწავლებლის მემორიალები

მურმანსკის გაერთიანება „სუდოვერფის“ მოთხილამურეებმა მოაწყვეს შეჯიბრება ამავე საწარმოს ყოფილი მუშის, საბჭოთა კავშირის გმირ ანატოლი ბრედოვის სახელობის პრიზზე. დიდი სამამულო ომის დროს მტრის ალყაში მოქცეულმა ბრედოვმა ტყვედ ჩავარდნას თავის გაწირვა ამჯობინა, ხელყუმბარა ააფეთქა და მტრებთან ერთად თვითონაც დაიღუპა. მურმანსკის ცენტრში ქალაქის კომკავშირელებმა ძეგლი დაუდგეს გმირს. მისი სახელი ეწოდა იმიერპოლარეთის ფლოტის ერთ-ერთ ხომალდს.

პრიზის გათამაშებაში, რომელიც მურმანსკის მახლობლად მოეწყო, „სუდოვერფის“ საამქროებისა და განყოფილებების 22 გუნდი მონაწილეობდა.

ტრადიციულად, გემშემკეთებლები ატარებენ შეჯიბრებას პ. შოროხოვას — ერთ-ერთი საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის, შესანიშნავი სპორტსმენის სახელობის პრიზზე. ომის წლებში 20 წლის ქალიშვილმა პარტიზანულ რაზმთან ერთად სამი ათასამდე კილომეტრი თხილამურებით გაიარა მტრის ზურგში. ფაშისტის ტყვიამ მაშინ მოუსწრაფა სიცოცხლე გოგონას, როცა იგი გასაჭირში ჩავარდნილი პარტიზანის დასახმარებლად მიიჩქაროდა.

ქალაქის მოსწავლეები კი მალე მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის მასწავლებლის, ცნობილი სპორტსმენის, იმიერპოლარეთში სამთოსათხილამურო სპორტის დაუღალავი პროპაგანდისტის, ჩრდილოეთის დღესასწაულის ერთ-ერთი ორგანიზატორის გ. დმიტრიევის მემორიალში.

ვ. ზასუხინი.

მურმანსკი.

### III სპარტაკიადის შესახვედრად

უზბეკეთის სამთომოთხილამურეები წლეულს პირველად მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაში, რომელიც 7—17 მარტს ბაკურიანში ჩატარდება.

ამ დიდი ასპარეზობისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო შუა აზიის რესპუბლიკების მოთხილამურეთა შეჯიბრება, რომელიც დუშანბეს (ტაჯიკეთი) მახლობლად ჩატარდა.

— ტურნირის მასპინძლები კარგად მომზადებულან „ხალხთა მეგობრობის“ თასის გათამაშებისთვის, — გვიამბობს უზბეკეთის ნაკრების გუნდის მწვრთნელი და ამ შეჯიბრების ერთ-ერთი მონაწილე ჰ. ვოტრინა. — ტრასა საუცხოო იყო. თოვლის საფარმაც ძალიან შეგვიწყო ხელი. სპორტსმენთა განკარგულებაში იყო საბაგირო გზა.

უზბეკეთის ნაკრებმა ორი შემადგენლობა გამოიყვანა. ამგვარად, თვრამეტივე სამთომოთხილამურის მომზადების დონე შემოწმდა.

უზბეკეთის წარმომადგენლებმა თავი ისახელეს როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში. მათვე დარჩათ „ხალხთა მეგობრობის“ თასიც.

ვ. ჟურაევი.

სამარყანდი,
უზბეკეთის სსრ.

### დინამოელები ემზადებიან

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები განაგრძობენ წინასასეზონო მზადებას. ისინი ბაკურიანიდან დაბრუნდნენ შინ და ახლა ინტენსიურად ვარჯიშობენ დარბაზებში.

• • •

მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ დინამოელებს, რომლებიც უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ჩოხელის ხელმძღვანელობით მეცადინეობენ დარბაზში; მარჯვნივ — ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი კალათბურთის თამაშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## თვალსაჩინო მიღწევა

ლატვიის საჭადრაკო ჟურნალ „შახმატის“ კონკურსები ეტიუდების შედგენაში მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ასე იყო 1971-1972 წლების კონკურსშიც, რომელშიც მონაწილეობდა სსრ კავშირის, არგენტინის, ბრაზილიის, ესპანეთის, მონგოლეთის, ურუგვაის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცარიის 74 ეტიუდისტი. მათ 109 ნაწარმოები გავზავნეს საკონკურსოდ და ყველა ეტიუდი თავის დროზე ჟურნალში დაიბეჭდა.

ამას წინათ ჟურნალმა კონკურსის შედეგები გამოაქვეყნა. მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი და ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში ტ. გორგიევი აღნიშნავს: „საკონკურსოდ იმდენი მაღალხარისხოვანი ეტიუდი შემოვიდა, რომ მსაჯთა კოლეგიას გაუჭირდა მათგან საუკეთესოების ამორჩევა. მკითხველები დაგვეხმარნენ და პრიზების მიკუთვნებისას მათი შენიშვნებიც გავითვალისწინეთ“.

პირველი-მეორე პრიზები თანაბარი უფლებით მიეკუთვნათ თბილისელ ვ. კალანდაძესა და ბრაზილიელ ს. და სილვას. „ეტიუდები ერთსა და იმავე მასალაზეა აგებული, მაგრამ ორივე მკაფიო კომბინაციური იდეებით გამოირჩევა, რაც უჩვეულოა მსგავსი ენდშპილისთვის, — წერს ტ. გორგიევი და განაგრძობს — კალანდაძის ეტიუდში თეთრები იგებენ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ეფექტური თამაში, რომელშიც თეთრები ორივე ეტლს აქტიურად სწირავენ. შესანიშნავია!“

გთავაზობთ ვ. კალანდაძის ეტიუდს (შეეცადეთ ამოხსნათ):



თეთრები იგებენ

მესამე პრიზი მიეკუთვნა ს. ჩიმედცერენს (ულან-ბატორი), მეოთხე-მეხუთე — ოსტატ ვ. იაკიმჩიკს (უსტ-კამენოგორსკი), VI — ოსტატ ლ. კაცნელსონს (ლენინგრადი), სპეციალური პრიზი მიილო რ. სკუიამ (რიგა).

ზევრმა ეტიუდმა, მათ შორის საქართველოდან გაგზავნილმა, საპატიო და საქები შეფასება დაიმსახურა. თბილისელ ვ. სერედასხვდა საპატიო შეფასება, დ. გურგენიძეს — სპეციალური საპატიო შეფასება, საერთაშორისო ოსტატ გ. ნადარეიშვილს — საქები შეფასება.

საინტერესოა, რომ პირველი საერთაშორისო დიდოსტატის ჰ. კასპარიანის (ერევანი) ეტიუდმა, ისევე როგორც საერთაშორისო ოსტატების ა. კაზანცევისა და ე. პოლოსიანცის (ორივე—მოსკოვი) ნამუშევრებმა, საქები შეფასება დაიმსახურა.

## საჭადრაკო მიმოხილვა

## პრეტენდენტთა მატჩები

### კარპოვი ნახევარფინალში გავიდა

მოსკოვი. გუშინწინ კარპოვმა და პოლუგაევსკიმ მატჩის VIII პარტია გაითამაშეს. ახალგაზრდა ლენინგრადელმა დიდოსტატმა დიდი ძალით ჩაატარა შეხვედრა და 41-ე სვლაზე გაიმარჯვა. ეს იყო მისი მესამე მოგება.

ამრიგად, კარპოვმა სძლია პოლუგაევსკის — 3:0 (ხუთი პარტია ყაიმით დამთავრდა). ნახევარფინალურ მატჩში იგი ბ. სპასკის შეხვდება. ეს ორთაბრძოლა აპრილში შედგება. თამაში ოთხ მოგებამდე გაგრძელდება, ოღონდ პარტიების რაოდენობა 20-ზე მეტი არ იქნება.

### პეტროსიანი — პორტიში 1:0

პალმა-დე-მალიორკა. აქ შედგა პეტროსიან — პორტიშის მატჩის VIII პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა.

### მეკინგი — კორჩნოი 0:2

ოგასტა (აშშ). მეკინგ — კორჩნოის მატჩის IX პარტია ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ, 41-ე სვლაზე, გადაიდო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში. კვირას თამაშის განახლებისას ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა. თამაში ექვს საათს გაგრძელდა და 89-ე სვლაზე პარტია კვლავ გადაიდო.



ბ. სპასკიმ რ. ბირნთან მეოთხედფინალური მატჩის მოგების შემდეგ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— მოპოვებული გამარჯვებით გახარებული ვარ. რასაკვირველია, მატჩი კარგად წარიმართა: მე და ჩემს მეტოქეს სადავო არაფერი გვქონია. პარტიების შეფასება მომავლის საქმეა. თამაშში შეცდომებიც იყო. მაგალითად, ბირნმა ბოლო პარტია სერიოზული შეცდომის გამო წააგო.

უნდა ითქვას, მატჩს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი საგულისხმო ეტაპია ფიშერთან შეხვედრისთვის ბრძოლაში. ვფიქრობ, ნახევარფინალური მატჩი უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ბირნთან შეხვედრა სან-ხუანში. რაც შეეხება ჩემს მატჩს ფიშერთან... ბუნებრივია, ძალიან მინდა შევხვდე მსოფლიო ჩემპიონს, თუმცა ეს არც ისე ადვილი მისაღწევია.

სპასკის სან-ხუანში ახლდნენ მეუღლე და მწვრთნელი, დიდოსტატი ი. ბონდარევსკი.

სურათზე: ი. ბონდარევსკი (მარცხნივ) და ბ. სპასკი პარტიას არჩევენ.

ს. მაისტარმანის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).



# მაყურებლებს პატივი უნდა ვცეთ

სპორტსმენის ცხოვრებაში გადამწყვეტი წუთები დგება მაშინ, როცა იგი შემოქმედებითს ანგარიშს აბარებს თავის გულშემატკივრებს. ჩვენ არა ვართ განებივრებული დიდი შეჯიბრებებით, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებით. უკვე კარგა ხანია, რაც თბილისში საკავშირო პირველობაც არ ჩატარებულა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ასე მოუთმენლად ველოდით ტურნირს, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სახელს ატარებს.

ასპარეზობამ გაამართლა თავისი სახელი და დანიშნულება. იგი ერთობ საინტერესოდ ჩატარდა და ბევრი ფიქრისა და განსჯის საშუალება მოგვცა. თბილისის ტურნირმა რამდენიმე საინტერესო, პერსპექტიული მოჭიდავე აღმოაჩინა. ეს, სხვათა შორის, მუდამ ასეა. სამაგალითო იყო თვით ტურნირის მეგობრული სული, ატმოსფერო, რომელშიც მოჭიდავეებს სამი დღის მანძილზე უხდებოდათ ცხოვრება. სპორტსმენთა უმრავლესობას, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც თავი გამოიჩინა ცალკეულ ორთაბრძოლებში, სასიამოვნო მოგონებები წაჰყვა ჩვენი დედაქალაქიდან. ერთი სიტყვით, პარასკევს, შაბათსა და კვირას სპორტის სასახლეში განსაკუთრებით საზეიმო ატმოსფერო სუფევდა და ეს, პირველ ყოვლისა, ასპარეზობის ორგანიზატორთა გამარჯვებაა, მაგრამ...

საქმე ისაა, რომ ბოლომდე კმაყოფილი ჩვენი მაყურებელი მაინც არ დარჩა. თუმცა მის პრეტენზიებს უფრო კერძო, განყენებული ხასიათი აქვს. თბილისის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა ბევრი უცხოელი ათლეტი. მათ ათასობით კილომეტრი გადალახეს იმისთვის, რომ ფეხი დაედგათ თბილისის სარბიელზე და ბედი ეცადათ ამა ქვეყნის ძლიერთა ბრძოლაში. აქ იყვნენ მოჭიდავეები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან, ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან. იყვნენ, რა თქმა უნდა, საბჭოთა ფალავნებიც, ადგილობრივი ათლეტებიც, და ეს ინტერნაციონალური სული შნოსა და ლაზათს მატებდა საპატიო პრიზებისთვის ბრძოლას.

მაყურებლებს აინტერესებთ ყველაფერი, რაც ჭიდაობასთანაა დაკავშირებული. ისინი გულმხურვალედ მიესალმნენ მსოფლიო ჩემპიონს შორეული ამერიკიდან ლ. კიზერს, ინტერესით ადევნებდნენ თვალს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორთა გამოსვლებს და გულნაკლულნი იყვნენ იმის გამო, რომ არ მიეცათ თავიანთი საყვარელი ფალავნების ნახვის შესაძლებლობა.

ეს მართლაც გულდასაწყვეტია. თბილისში, როგორც უკვე ვთქვით, ჯერ არ ჩატარებულა ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატები. უკვე დაგვავიწყდა ის ბედნიერი დღეები, როცა ჩვენს დედაქალაქს უკანასკნელად მოუხდა საკავშირო ჩემპიონატის მასპინძლობა. თბილისის ტრადიციული ტურნირი ერთადერთი ასპარეზობაა, სადაც შეგვიძლია ვნახოთ ის, რითაც აგრერიგად ვამაყობთ, ვნახოთ ჩვენი პოპულარული ჩემპიონები და ჩავიბაროთ მათგან ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში.

ბუნებრივია, ყველაზე მეტად გვაინტერესებდა ლევან თედიაშვილისა და ნოდარ მოდებაძის ნახვა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ლევანმა, საპატიო მიზეზით, უფრო სწორად კი ტრავმის გამო, ვერ შეძლო ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება. თბილისის სარბიელზე ვერც მოდებაძე ვიხილეთ, თუმცა იგი ბოლო წუთამდე მზად იყო საასპარეზოდ. არ ვიცით, რატომ შეცვალა მან გადაწყვეტილება. ამბობენ, მოდებაძეს მსოფლიო ჩემპიონ ს. ანდიევთან ბრძოლა სურდა და, როგორც კი გაიგო, რომ იგი თბილისში არ ჩამოდიოდა, ერთბაშად დაკარგა ტურნირისადმი ინტერესიო.

შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ ხომ უნდა გავუწიოთ ანგარიში მაყურებლებს და კიდევ საკუთარი ქალაქის, რესპუბლიკის ავტორიტეტს?

რ. მარსაგიშვილი, მაგალითად, თბილისის სპორტის სასახლეში პირდაპირ... კუბიდან მოვიდა (სხვათა შორის, იქ მან მოიგო საერთაშორისო ტურნირი), ტარიელ ალიბეგაშვილი და ალექსანდრე ილურიძე დაშავებული იყვნენ და მაინც არ დატოვეს სარბიელი, ხოლო როინ დობორჯგინიძე იმდენად გადაღლილი ჩანდა, რომ მწვრთნელებმა აუკრძალეს კიდეც ტურნირში გამოსვლა. და მაინც, არც ერთმა მათგანმა არ შეაქცია ზურგი გულშემატკივრებს, ტურნირს, ამხანაგებს. ნოდარ მოდებაძესაც ჰქონდა საშუალება გაეხარებინა მაყურებელი, მაგრამ მან სარბიელზე გამოსვლას მეთვალყურის როლი ამჯობინა, რითაც მაყურებლების სამართლიანი გულისტკივილი გამოიწვია.

თბილისის საერთაშორისო ტურნირის დებულების თანახმად, პრიზიორთა შორის მოხვედრა ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ერთ სპორტსმენს შეუძლია (რა თქმა უნდა, იმას, ვისაც უკეთესი შედეგი აქვს). დებულების ეს პუნქტი ერთგვარ უხერხულობას ქმნის ადგილობრივი მოჭიდავეებისთვის, ვინაიდან ამ დებულების თანახმად, ზოგიერთი იძულებული ხდება სატურნირო იერარქიაში ადგილი დაუთმოს უფრო სუსტად გამოსულ უცხოელ სპორტსმენს. სწორედ ამ მიზეზით, ბევრ შემთხვევაში პრიზიორთა სია არ ეთანხმება ადგილების ფაქტიურ განაწილებას.

შევეცდებით პრიზიორთა დასახელებისას არ გამოვტოვოთ ისინი, ვინც ფაქტიურად უძლიერესთა შორის მოხვდა.

48 კგ. მას შემდეგ, რაც იაპონელმა ხ. სიგერუმ ტურნირი დაამთავრა 3 საჯარიმო ქულით, I ადგილის ბედი რ. გაჯიევ (სსრ კავშირი) — რ. სობხანეს (ირანი) ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. ირანელმა, მართალია, მოიგო შეხვედრა, მაგრამ III ადგილს მაინც ვერ ასცდა, ვინაიდან ახლა მას 5 საჯარიმო ქულა ჰქონდა, გაჯიევს კი — 4. ადგილები ამ წონაში ასე განაწილდა: 1. სიგერუ, 2. გაჯიევი, 3. სობხანე.

52 კგ. ტურნირი მოიგო ბაქოელმა ტ. ფაშაევმა. ირანელ კ. მოშალახთან ქულებით გამარჯვების შემდეგ ბაქოელმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა მახაჩყალელ ა. ალახვერდიევთან. ამ შედეგმა მას I ადგილი მოუტანა. II ადგილზე ფაქტიურად ა. კარპიკოვი (სსრ კავშირი) გავიდა, მაგრამ პრიზების განაწილებისას მას გაუსწრეს ბულგარელმა ო. ნიკოლოვმაც და ირანელმა კ. მოშალახმა.

57 კგ. რ. დობორჯგინიძემ (საქართველო) ლ. ბოგატირიოვთან (სსრ კავშირი) და რ. ხედერთან (ირანი) გამარჯვების შემდეგ მოიპოვა I ადგილი. ბოგატირიოვი ფაქტიურად II ადგილზე გავიდა, მაგრამ პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. დობორჯგინიძე, 2. რ. ხედერი, 3. კ. ლეონოვი (ბულგარეთი).

62 კგ. როგორც ყოველთვის, თამამად და გაბედულად იბრძოდა გ. ყვარელაშვილი (საქართველო). მან თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა, ფაქტიურად ჩაატარა ყველა ბრძოლა და გაიმარჯვა. ამ წონაში პრიზები ასე განაწილდა: 1. გ. ყვარელაშვილი, 2. დ. ჟეკოვი (ბულგარეთი), 3. ფ. გოდრატი (ირანი).

68 კგ. დაუმარცხებელი არავინ დარჩენილა. მსოფლიო ჩემპიონმა ლ. კიზერმა (აშშ) წააგო ბაქოელ მ. იბრაჰიმოვთან. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ა. მატვეევმა ქულებით სძლია ორჯონიკიძელ გ. მანჟუევს, მისი შანსები საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ფინალში აზერბაიჯანელმა მოჭიდავემ მესამე პერიოდში ხალიჩას გააკრა მატვეევი და I ადგილზე გადაინაცვლა. საბოლოო ჯამში ამ წონით კატეგორიაში ადგილები ასე განაწილდა: 1. მ. იბრაჰიმოვი, 2. ლ. კიზერი, 3. მ. ხორამი (ირანი).

74 კგ. ტ. როსტომაშვილისა (საქართველო) და ჯ. უელსის (აშშ) ფინალური ბრძოლის წინ გამარჯვებულის ვინაობა უკვე ცნობილი იყო. მახაჩყალელმა მ. არაცილოვმა მანამდე ორივე მეტოქე დაამარცხა და მშვიდად ელოდა ბრძოლის შედეგს. მაგრამ ეს ბრძოლა არ შედგა. ამერიკელი ტრავმის გამო სარბიელზე არ გამოცხადდა და როსტომაშვილს წმინდა გამარჯვება ჩაეთვალა. ფაქტიურად ქართველი სპორტსმენი II ადგილზე დარჩა, მაგრამ პრიზი მას კი არა, ჯ. უელსს გადაეცა. III ადგილზე ბულგარელი ნ. კუზმანოვი გავიდა.

82 კგ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სარბიელს დაუბრუნდა ა. ილურიძე (საქართველო), თავისი „დებიუტი" მან გამარჯვებით აღნიშნა. ამ წონაში მეორე პრიზი ბულგარელ ი. აბილოვს ერგო, მესამე — XX ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ჯ. პიტერსონს.

90 კგ. მიუხედავად იმისა, რომ ფინალური შეხვედრა შ. პაპაშვილმა (საქართველო) მოუგო რ. ჰელიკსონს (აშშ), I ადგილი დარჩა ამერიკელს, რომელსაც მანამდე დამარცხებული ჰყავდა მეორე პრიზიორი, ერევნელი ე. მელიქიანი. პაპაშვილმა ფაქტიურად III ადგილი დაიკავა, მაგრამ პრიზი ირანელ რ. ტალაკანს ერგო.

100 კგ. ტურნირის ნამდვილი აღმოჩენაა ზ. ნიკურაძე (საქართველო). ამ გაბედული და ტექნიკური ათლეტის გამოსვლა ძალიან მოეწონათ სპეციალისტებს და, პირველ ყოვლისა, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს ი. შახმურადოვს. ნიკურაძის გამარჯვება თბილისის საერთაშორისო ტურნირში ერთობ დამაჯერებელი იყო. მეორე პრიზი ამერიკელ ბ. დიდრიხს გადაეცა, მესამე კი — უნგრელ ი. ჩოტარის, თუმცა ფაქტიურად ეს ადგილები ე. იკაევმა და მ. ცნობილაძემ დაისაკუთრეს.

მძიმე. ანალოგიური ამბავი მოხდა მძიმე წონაშიც. სამი პირველი ადგილი ტურნირში საბჭოთა მოჭიდავეებმა ბ. ბიგაევმა, ვ. პარშუკოვმა და ბ. გოგნაძემ დაისაკუთრეს, მაგრამ, დებულების თანახმად, მხოლოდ პირველი პრიზიორის (ბ. ბიგაევის) გვარი დარჩა უცვლელი. მეორე პრიზი ამერიკელ მ. მაკ-გრილს გადაეცა, მესამე — ლ. შიმონს (რუმინეთი).

• • •

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა და საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა სპორტიდან გააცილეს სახელოვანი საბჭოთა ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი გურამ საღარაძე, რომელმაც საჭიდაო სარბიელი რამდენიმე წლის წინათ დატოვა. ამ შესანიშნავ ათლეტს გულთბილი სიტყვებით მიესალმნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები, მისი ხალასი ნიჭის თაყვანისმცემლები.

**ნ. გუგუშვილი.**

• • •

სურათებზე: ზემოთ — 52 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა, ბაქოელი ტ. ფაშაევისა (მარცხნივ) და იაპონელი კ. ხატოს ორთაბრძოლის მომენტი. გაიმარჯვა საბჭოთა ათლეტმა. ქვევით — ისინი მუდამ მეტოქენი და მეგობრები იყვნენ — ჭიდაობის დიდოსტატები მ. ცალქალამანიძე და ა. ალიევი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის დღეებში ვეტერანები გულდასმით ადევნებდნენ თვალს ახალგაზრდა ოსტატთა გამოსვლებს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



# უბერებელი ჩემპიონი

ალმა-ათა, 3 თებერვალი. ევროპის მოციგურავე ქალთა V ჩემპიონატის პირველ დღეს ორივე მცირე ოქროს მედალი ევროპისა და მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, ჰოლანდიელ ა. კეილენ-დეელსტრას ხვდა. მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე მან ყველას აჯობა 500 (43,78) და 1500 (2.15,84) მეტრზე რბენაში. კეილენ-დეელსტრას საუცხოო ქულათა ჯამი ჰქონდა — 89,060.

— დღევანდელი დღე ჩემთვის ყველაზე უკეთესი იყო ამ სეზონში, — თქვა კეილენ-დეელსტრამ პრეს-კონფერენციაზე. — არ მინდა ხვალინდელ მაჩვენებლებზე წინასწარ დავიწყო მარჩიელობა, მაგრამ ვეცდები აქ ყოფნა გამოვიყენო და კარგი შედეგი მოვიპოვო. რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ 1500 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის დამყარებისთვის სულ რაღაც 0,04 წამი არ მეყო.

სხვა სპორტსმენების, პირველ ყოვლისა კი საბჭოთა მოციგურავეების აზრით, რომლებიც დანარჩენებზე უკეთ იცნობენ მედეოს, აქ, ჩვეულებრივ, უკეთესი პირობებია ხოლმე საასპარეზოდ. მათს აზრს იზიარებს დასავლეთგერმანელი მ. პფლიუგიც და ამბობს, ყინული ახლა მართლაც ცოტა მაგარი იყოო.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ ნიდერლანდების ელჩი საბჭოთა კავშირში ა. რ. ტამენომს ბაკერი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ე. სუატი (თურქეთი) და მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის წევრი ჟ. ფავარი (საფრანგეთი).

მართალია, წინადღით მოწყობილი კენჭისყრის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელები ბედს არ ემდუროდნენ, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ წყვილთა განაწილებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა საბჭოთა სპორტსმენთა შედეგებზე.

ყურადღების ცენტრში იყო 1500 მეტრზე რბენა, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა კონტინენტის ორი ორგზის ჩემპიონი — ნ. სტატკევიჩი და ა. კეილენ-დეელსტრა. მათ თავიდანვე მაღალი ტემპი აიღეს. რამდენიმე ხანს ლენინგრადელი ლიდერობდა. კეილენ-დეელსტრას ადგილზე ამ გარბენს სხვა ვერავინ მოიგებდა, მაგრამ ჰოლანდიელმა სპორტსმენმა ეს შეძლო. როგორც ჩანს, ჰოლანდიელთა მწვრთნელი გ. მაარსე სწორად მოიქცა, როცა თავისი სპორტსმენები მედეოში სტარტამდე ორი კვირით ადრე ჩამოიყვანა. კეილენ-დეელსტრას ჰყო ძალა მძლავრი საფინიშო ბიძგისთვის. მან თავისი პირადი რეკორდი გააუმჯობესა — 2.15,84.

საბჭოთა გუნდისთვის ერთგვარი ნუგეში იყო ის, რომ 1500 მეტრზე სტატკევიჩმა ვერცხლის ჯილდო მოიპოვა, სვერდლოვსკელმა ლ. სავრულინამ — ბრინჯაოსი, ხოლო კიეველი ტ. შელეხოვა IV ადგილზე გავიდა.

1500-მეტრიან დისტანციაზე ხელი მოეცარა ტ. ავერინას, რომელზეც საბჭოთა მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებდნენ. გორკელი სპორტსმენი ერთ-ერთ მოსახვევში დაეცა და, თუმცა ფინიშამდე მივიდა (მას მთელი სტადიონი ამხნევებდა), ორი დისტანციის ჯამში XXI ადგილს დასჯერდა.

მრავალჭიდის ჯამში სტატკევიჩი II ადგილზე აღმოჩნდა. მესამე იყო პფლიუგი, მეოთხე — შელეხოვა, მეხუთე — სავრულინა.

მეორე დღეს 1000 მეტრზე რბენაში კეილენ-დეელსტრამ 1.28,26 აჩვენა. საბჭოთა სპორტსმენი ტ. ავერინა, რომელსაც ეკუთვნის „მედეოს" რეკორდი ამ დისტანციაზე, სტარტზე ყველა უძლიერესის შემდეგ გამოვიდა. მაყურებლები გულმოდგინედ ამხნევებდნენ მას, მაგრამ ავერინას შედეგი (1.28,84) მხოლოდ მესამე აღმოჩნდა. ჰოლანდიელები უკვე ულოცავდნენ გამარჯვებას თავიანთი გუნდის ლიდერს კეილენ-დეელსტრას, რომელმაც სამ დისტანციაზე გაიმარჯვა და ამით, 3000 მეტრზე შეჯიბრების შედეგის მიუხედავად, პირველობას ველარავინ შეეცილებოდა.

მაგრამ სამი შვილის დედამ, 35 წლის ჰოლანდიელმა სპორტსმენმა „მედეოდან" ყველა ოქროს ჯილდო მაინც ვერ წაიღო. 3000 მეტრზე რბენის სტარტზე იგი კვლავ სტატკევიჩთან ერთად გამოვიდა და ამჯერად საბჭოთა სპორტსმენს 4,69 წამით ჩამორჩა. სტატკევიჩის შედეგი (4.54,98) ვერც სავრულინამ გააუმჯობესა, რომელიც გამარჯვებულს 1,01 წამით ჩამორჩა.

კეილენ-დეელსტრამ, როგორც თვითონ თქვა, მესამე წრის შემდეგ დაღლილობა იგრძნო, ვერ შეინარჩუნა დაგეგმილი ტემპი და ვერც მრავალჭიდის ჯამში თავისივე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

საბოლოოდ საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა ორი საბჭოთა და ერთი ჰოლანდიელი სპორტსმენი, ერთადერთი უცხოელი, რომელმაც სსრ კავშირის მოციგურავეებს ღირსეული მეტოქეობა გაუწია და აჯობა კიდეც. სტადიონი ტაშს უკრავდა კეილენ-დეელსტრას, რომელმაც მრავალჭიდში 183,135 ქულა დააგროვა. ჩემპიონთან ერთად საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ სტატკევიჩი (184,222) და შელეხოვა (185,803), რომელთაც დიდი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ქების ღირსია სავრულინაც, რომელსაც მრავალჭიდში IV ადგილი ხვდა.

სასიხარულოა, რომ მედეოში საბჭოთა ნაკრებს ძალით ვერც ერთი გუნდი ვერ გაუთანაბრდა. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მოციგურავეთაგან სისწრაფით ჯერჯერობით ვერც ერთმა ვერ აჯობა კეილენ-დეელსტრას.

# ლიდერობს ორი მაია

დასასრული

გთავაზობთ ამ პარტიას:

**ზვორიკინა — ჩიბურდანიძე**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კe3 ლc7 7. კe2 e6 8. 0—0 b5 9. f4 b4 10. e5 de 11. fe მfd7 12. მcb5 ab 13. მ:b5 ლd8 14. კh5 მe5 15. კ:f7+ მ:f7 16. ლf3 ლd7 17. ეad1 კb7 18. ლh5 კd5 19. ე:f7 ლ:b5 20. ეdf1 g6 21. ლe5 ეg8 22. ე:h7 მd7 23. ლg5 კc5 24. მფh1 ლ:f1 ×.

ახალინდურ დაცვაში რანიკუმ მცირე უპირატესობა მოიპოვა. ხემიონოვამ ვერ გაათაააბრა პოზიცია. ენდშპილში ესტონელმა ოსტატმა ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგვინა.

ბრძოლა მეორე დღესაც მიმზიდველი აღმოჩნდა.

ჩიბურდანიძისა და ზვორიკინას თამაში პოზიციურ ჭიდილში მიმდინარეობდა. გამოცდილმა ოსტატმა რამდენიმე ფიგურის გაცვლით გაათანაბრა მდგომარეობა, მერე კი მაიას უზუსტო 23-ე სვლით ისარგებლა და ინიციატივაც ხელში ჩაიგდო.

კრიტიკულ ვითარებაში ჩიბურდანიძე არ დაიბნა. იგი მეტოქეს ძნელ ამოცანებს უსახავდა. ზვორიკინა ბევრს ფიქრობდა და შეუმჩნევლად ცაიტნოტში აღმოჩნდა. საჭირო იყო გადაწყვეტილების მიღება. მინსკელმა მოჭადრაკემ იჩქარა პაიკების გაცვლა 31-ე სვლაზე. როგორც კი ჩიბურდანიძემ თავიდან მოიცილა სუსტი პაიკები, მაშინვე გადააჯგუფა ფიგურები და შავ მეფეზე გაილაშქრა. სიჩქარეში ზვორიკინამ ვერ დაიცვა თავისი გვირგვინოსანი. მოჭადრაკე გოგონას ორივე ეტლი მე-7 ჰორიზონტალზე შეიჭრა. პარტია ზვორიკინას (შავებით) 46-ე სვლის შემდეგ გადაიდო ამ მდგომარეობაში:



ამ დილით ზვორიკინამ პარტია თამაშის განუახლებლად დათმო.

გთავაზობთ პარტიას:

**ჩიბურდანიძე — ზვორიკინა**

ალიოხინის დაცვა

1. e4 c5 2. c3 მf6 3. e5 მd5 4. d4 cd 5. cd d6 6. მf3 მc6 7. კc4 მb6 8. კb5 e6 9. 0—0 კd7 10. ლe2 a6 11. კd3 მb4 12. კg5 კe7 13. კ:e7 ლ:e7 14. მc3 მ:d3 15. ლ:d3 0—0 16. ეfd1 კc6 17. ლe2 ეac8 18. ეac1 h6 19. h3 კ:f3 20. ლ:f3 d5 21. ლe2 ეe7 22. ეd3 ეfc8 23. a3 მa4 24. ლd2 b5 25. ეad1 მ:c3 26. bc ეc4 27. ლb2 ლc7 28. ეc1 ეa4 29. მფf1 ლc4 30. ეcd1 a5 31. ე1d2 b4 32. cb ab 33. ab ე:b4 34. ლa2 ლb5 35. მფg1 ლb6 36. მფh2 g6 37. ლa1 მფg7 38. ლe1 ეb1 39. ლe3 ეcc1 40. ლf4 ლd8 41. ეa2 ეe1 42. ეa7 ეh1+ 43. მფg3 ლg5+ 44. ლ:g5 hg 45. ეf3 ეhd1 46. ეf:f7+ მფg8. შავები დანებდნენ.

ხემიონოვა კომბინაციურად იბრძოდა, მაგრამ ზედმეტი მოუვიდა: მუქარის შექმნით გართულს, მეფე ცენტრში შემორჩა. რანიკუმ ამით კარგად ისარგებლა, ნადავლი უკან დააბრუნა და მეტოქის მეფეს შეუტია. ბოლოს მან ეტლის მოხდენილი შეწირვით 38-ე სვლაზე გაიმარჯვა.

**მ. შიშოვი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.

# საჭადრაკო კომპოზიტორთა მეორე ჩემპიონატი

საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორთა I ჩემპიონატი 1957 წელს მოეწყო. მან შეაჯამა კომპოზიტორთა მუშაობა ომისშემდგომ პერიოდში. მომდევნო წლებში ეტიუდისტებისა და პრობლემისტების რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა, საგრძნობლად ამაღლდა მათი ოსტატობაც. ამიტომ მომწიფდა კომპოზიტორთა სპორტულ-ტექნიკური დებითი მაჩვენებლების რეგულარულად შეფასების საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა და რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმმა მეორე ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტეს. შეჯიბრება მიზნად ისახავს 1957-1969 წლებში საქართველოს უძლიერესი საჭადრაკო კომპოზიტორების გამოვლინებას, მათს მიერ საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულებას, რესპუბლიკაში საკომპოზიციო ხელოვნების განვითარებას.

II ჩემპიონატი მოეწყობა ოთხ განყოფილებად: ორსვლიანი, სამსვლიანი, მრავალსვლიანი ამოცანები და ეტიუდები. პირობები ასეთია: შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ავტორებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ 1957 წლის 1 იანვრიდან 1969 წლის 31 დეკემბრამდე პრესაში გამოქვეყნებული თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებები (თითოეულ განყოფილებაში — არა უმეტეს 6 ამოცანისა და 10 ეტიუდისა).

ყოველი კომპოზიცია (სამ ცალად) უნდა გამოიგზავნოს ცალკე ფურცელზე — დიაგრამაზე დახატული. მას უნდა ახლდეს დაწვრილებითი ამოხსნა, გარდა ამისა, აღნიშნული უნდა იყოს გამოქვეყნების ადგილი, დრო და მიღებული შეფასება. გადამუშავებული ნაწარმოებები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთაღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნებული იყო.

მსაჯთა კოლეგია, რომელშიც შედიან მოსკოველი ე. უმნოვი (ამოცანების განყოფილებები), ბაქოელი ა. სარიჩევი (ეტიუდები) და თბილისელი გ. მაჭავარიანი (მსაჯი-ორგანიზატორი), ფინალისთვის შეარჩევს 40 ეტიუდსა და 20-20 ნაწარმოებს ამოცანათა თითოეულ ჟანრში. ნაწარმოებები 15-ბალიანი სისტემით შეფასდება. კოლექტიური ნაწარმოებისთვის (ყოველ ჟანრში შეიძლება მხოლოდ ერთი კომპოზიციის შეცვლა ორი კოლექტიურით) ბალები თანაბრად განაწილდება თანაავტორთა შორის.

საკონკურსოდ მასალები უნდა გამოიგზავნოს 1974 წლის 1 აპრილამდე ამ მისამართით: 380007, თბილისი — 7, ჯაფარიძის ქ. № 4, საქართველოს სპორტკომიტეტი. „საჭადრაკო კომპოზიტორთა პირველობისთვის".

ჩემპიონატის თითოეულ განყოფილებაში პირველ სამ ადგილზე გასულნი დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

**ვ. ნეიძე,**
რესპუბლიკური საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის კომპოზიციის კომისიის მდივანი.



# მასობრივი, შესარჩევი...

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, მიმდინარეობს დედაქალაქის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარული სისტემით (11 ტური) ტარდება, 115 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობს. მათ შორის არიან მოჭადრაკე ქალებიც — ოსტატები თ. ხუგაშვილი და ც. კობაიძე, ოსტატობის კანდიდატი ლ. კორომინაძე და სხვ.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: კ. ჩიგოგიძე — 7 ქულა, ო. თურქესტანიშვილი, ნ. ტურიაშვილი — 6,5-6,5, ა. რაბადანოვი, ი. ცქიტიშვილი, ს. კიკილაშვილი, გ. ცახელაშვილი; ვ. ვეფხვიშვილი — 6-6. ქალებიდან დაწინაურდა კობაიძე — 5,5.

შეჯიბრების დებულებით, თბილისის ჩემპიონატის ფინალში დაიშვებიან პირველ ექვს ადგილზე გასული მოჭადრაკეები. I-XL ადგილებზე გასულნი საქართველოს XXXV ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშებენ.

**თ. ნინოშვილი.**

* * *

სურათზე: ნახევარფინალური ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილის ა. ჩიკვაიძისა (მარჯვნივ) და ზ. სამხარაძის შეხვედრა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ახალი სისტემით



რესპუბლიკური პირველობის ფინალში მოხვედრა ადვილი არასოდეს არ იყო, მით უმეტეს, რომ ნახევარფინალური ტურნირი ერთი-ორი თუ ტარდებოდა. სწორედ ეს გაითვალისწინეს ჭადრაკის მესვეურებმა საქართველოს XXXV ვაჟთა საჭადრაკო პირველობის დებულების დამუშავებისას.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსი მწვრთნელი ჭადრაკში ბ. მაჭავარიანი გვიამბობს:

— საქართველოს წლევანდელი, 35-ე პირველობის შესარჩევი ტურნირები ახალი სისტემით, ორ ეტაპად მოეწყობა. პირველი ეტაპია ზონალური ტურნირები, მეორე — ნახევარფინალური შეჯიბრებები. ზონალური ტურნირი ცამეტია და ყველა 5-დან 20 თებერვლამდე უნდა ჩატარდეს.

პირველი ზონა — აფხაზეთი, მეორე — აჭარა, მესამე — სამხრეთ ოსეთი, მეოთხე — ქუთაისი (ითამაშებს ქუთაისის 12 და წყალტუბოს 4 მოჭადრაკე). მეხუთე — გორი (ხაშურის, მცხეთის, კასპის, დუშეთის, თიანეთის, გორის რაიონისა და გორის ორ-ორი წარმომადგენელი), მეექვსე — ლაგოდეხი (თელავის, სიღნაღის, ახმეტის, ყვარლის, საგარეჯოს, გურჯაანის, წითელი წყაროს და ლაგოდეხის ორ-ორი მოჭადრაკე), მეშვიდე — რუსთავი (გარდაბნის, ბოლნისის, მარნეულის, თეთრი წყაროს, წალკის, დმანისისა და რუსთავის ორ-ორი წარმომადგენელი), მერვე — ახალციხე (ასპინძის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ადიგენის, ბორჯომისა და ახალციხის ორ-ორი წარმომადგენელი), მეცხრე — ცხაკაია (აბაშის, გეგეჭკორის, ფოთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ცხაკაიას ორ-ორი მოჭადრაკე), მეათე — სამტრედია (ზესტაფონის, წულუკიძის, ორჯონიკიძის, ჭიათურის, საჩხერის, ცაგერის, თერჯოლის, ვანისა და სამტრედიის ორ-ორი წარმომადგენელი), მეთერთმეტე — მახარაძე (ჩოხატაურის, ლანჩხუთის, მახარაძის სამ-სამი წარმომადგენელი), მეთორმეტე — ზუგდიდი (ტყიბულის, ხობისა და ზუგდიდის სამ-სამი მოჭადრაკე), მეცამეტე — ამბროლაური (ყაზბეგის, მესტიის, ონისა და ამბროლაურის სამ-სამი წარმომადგენელი).

თუ რომელიმე ტურნირს მონაწილეები დააკლდება, მასპინძლებს შეუძლიათ თავიანთი მოჭადრაკეები ჩაიწვიონ.

მეორე ეტაპია ნახევარფინალური ტურნირები, რომლებიც თბილისსა და ახალციხეში ჩატარდება 22 თებერვლიდან 8 მარტამდე.

თბილისში ითამაშებს დედაქალაქის ნახევარფინალურ ტურნირში პირველ ადგილებზე გასული 40 მოჭადრაკე.

ახალციხის ნახევარფინალურ ტურნირში გამოვლენ ზონალურ შეჯიბრებებში დაწინაურებულნი: 1-ლი ზონიდან — 4 მოჭადრაკე, მე-2, მე-4, მე-5 ზონებიდან — 5-5, მე-3, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-12 ზონებიდან — 2-2, მე-6, მე-11, მე-13 ზონებიდან — თითო.

პირველი ეტაპის ტურნირები წრიული იქნება, მეორისა — შვეიცარიული სისტემით ჩატარდება. საჭიროა აღინიშნოს, რომ მეორე ეტაპის ტურნირებში მხოლოდ პირველთანრიგოსან მოჭადრაკეებს შეუძლიათ მონაწილეობა. ფინალში თბილისის ნახევარფინალიდან ითამაშებენ პირველ ათ ადგილზე გასული მოჭადრაკეები, ახალციხის ნახევარფინალიდან კი პირველი სამი პრიზიორი.

საქართველოს პირველობის ფინალს თბილისი უმასპინძლებს 28 აპრილიდან 24 მაისამდე. ფინალში სათამაშოდ პერსონალურად მიწვეული არიან დიდოსტატები ბ. გურგენიძე, ჯ. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, ოსტატები თ. გიორგაძე, ა. ტუზოვსკი (სოხუმი). ოსტატობის კანდიდატები ზ. ზაიჩიკი, ზ. მიქაძე და გ. კალატოზიშვილი.

PRZEGLAD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · sportowiec · Советский спорт

## 13 თებერვალს...

**ყ**იფა-მ ბელგიელი საერთაშორისო არბიტრი ვიქტორ ლორო დანიშნა მაინის ფრანკფურტში იუგოსლავია — ესპანეთის გუნდების 13 თებერვლის გადამწყვეტი მატჩის მთავარ მსაჯად.

გამარჯვებული ჩაირიცხება მსოფლიო პირველობის II ფინალურ ჯგუფში ბრაზილიის, შოტლანდიისა და ზაირის გუნდებთან ერთად.



## ყველა მატჩი ბრაზილიაში ჩატარდება

**ბ**რაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მ. ზაგალომ განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მისი ფეხბურთელები ჩაატარებენ საწვრთნელი მატჩების მთელ სერიას. ამასთან, ყველა მატჩი ბრაზილიაში გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონები 31 მარტს მიიღებენ მექსიკელებს, 7 აპრილს — ჩეხოსლოვაკიელებს, 14 აპრილს — საბჭოთა ნაკრებს, 17 აპრილს—რუმინელებს, 21 აპრილს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის გუნდს, 28 აპრილს — ირლანდიელებს, 1 მაისს — პერუელებს და 12 მაისს — პარაგვაელებს.

## ზაგალოს აზრით

**მ. ზაგალომ**, რომელიც ამჟამად ევროპაშია და 13 თებერვალს ესპანეთ—იუგოსლავიის ნაკრები გუნდების მატჩს დაესწრება, უპასუხა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე.

ზაგალოს აზრით, პირველი ჯგუფიდან მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალში გავლენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები, მეორედან — ბრაზილიელები და შოტლანდიელები, მესამედან — ჰოლანდიელები და ბელგიელები, მეოთხედან — არგენტინელები და პოლონელები.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ზაგალომ დაბალი შეფასება მისცა იტალიელთა შანსებს.

**კრაისტჩერჩი, 8 თებერვალი.** აქ მიმდინარე ბრიტანულ თამაშებში მძლეოსნობაში ერთადერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ეს მიღწევა ეკუთვნის ტანზანიელ ავიატექნიკოსს, 20 წლის ფ. ბეის, რომელმაც 1500 მეტრი 3 წუთსა და 32,2 წამში გაირბინა. მან 0,9 წამით გააუმჯობესა ამერიკელი ჯ. რაიანის მსოფლიო რეკორდი, რომელიც 1967 წელს იყო დამყარებული.

## ბესტი — „ტრანსფერლისტზე"

**ი**ნგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორატმა გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს გაყიდოს ბესტი, რომლის გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა.

უკვე სამ კვირაზე მეტია კლუბი ჯამაგირს აღარ უხდის ბესტს, რომელიც საწვრთნელ მეცადინეობებს აცდენს და საერთოდ უტიფრად იქცევა. ეს მაშინ, როცა ოდესღაც განთქმულ გუნდს ამჟამად ემუქრება I ლიგის დატოვების საფრთხე. „მანჩესტერ იუნაიტედი" უკანასკნელ წლებში არაერთხელ ჩავარდნილა მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ ასე არასოდეს გასჭირვებია. შარშან იგი იხსნეს მწვრთნელ დოჰერტის მიერ მოწვეულმა შოტლანდიელებმა, ახლა კი არავინ იცის, ვინ დაეხმარება გუნდს.

## კუბილასი კვლავ გაყიდეს

**გ**ამოჩენილი პერუელი ფეხბურთელი ტ. კუბილასი, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი, თავისი ნაკრების ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო. ამ კლუბის გადაწყვეტილებამ, რომ შვეიცარიაში გაეყიდა კუბილასი, გულშემატკივართა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

მაგრამ შვეიცარიულ ფეხბურთს კუბილასი ვერაფრით ვერ შეეწყო. სულ რაღაც 6 თვის მანძილზე მან აქ ორი კლუბი გამოიცვალა. „ბაზელმა", სადაც ბოლოს თამაშობდა პერუელი ვარსკვლავი, გადაწყვიტა კუბილასის თავიდან მოშორება და იგი პორტუგალიის პირველი ლიგის კლუბ „ფკ პორტოს" დაუთმო.

7 თებერვალს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდება ქ. თბილისის ფიზკულტურული აქტივის მორიგი მეცადინეობა თემაზე: **„სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების საკითხები".**

დასაწყისი 18 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 86448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02457